



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ახტიარის უფსკრული

ახტიარის უფსკრული, კარსტული მღვიმე გაგრის მუნიციპალიტეტში, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ზ. დ. 2520 მ სიმაღლეზე.

გამომუშავებულია ზედაიურულ (ტიტონურ) კირქვებში. უფსკრულში ჩასასვლელი თოვლ-ფირნით ამოვსებულ ღრმა კარსტული ძაბრის ფსკერზე იხსნება და ქმნის „ყინულოვან დარბაზს“. მთავარი განშტოება სამხრ.-დას-ით გრძელდება და 35,15,45 და 40 მ-იანი ჭებისა და შახტების მორიგეობით 200 მ სიღრმემდე ვრცელდება.

ა. უ-ის ჯამური სიღრმეა 410 მ, მოცულობა 40 ათ. მ<sup>3</sup>, ფსკერის ფართობი 1,6 ათ. მ<sup>2</sup> მღვიმეში ჭერის ჩანგრევით წარმოიშვა 7 მოზრდილი დარბაზი, რ-ებიც ერთმანეთს უკავშირდება დახრილფსკერიანი დერეფნებით და კასკადური ჭებით. მღვიმეში არის სტალაქტიტები, სტალაგმიტები, ყინულის ნაღვენთები, ციკლგავლილი მშრალი და წყლიანი დერეფნები. მინისქვეშა ნაკადების წყლის ტემპ-რა 2,5–3°.

აღმოჩენილია 1973.

**ზ. ტატაშიძე**

---